

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა-შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის  
ფილოლოგია (მოდული – ქართული ფილოლოგია)

**თამარ მაგრაქველიძე**

**ზაქარიას წინასწარმეტყველების ქართული თარგმანის  
წარმომავლობა და თარგმანის ხასიათი**

ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელები: ანა ხარანაული,

თსუ, ასოცირებული პროფესორი

ნათია ჩანტლაძე, თსუ, ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

## ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ძველი აღთქმის თორმეტ მცირე წინასწარმეტყველთაგან ერთ-ერთის ზაქარიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული თარგმანის (ომკურ-იერუსალიმურ ხელნაწერებში დაცული ტექსტის) წარმომავლობისა (სათარგმნი ენის) და თარგმანის ხასიათის კვლევას.

ტექსტი სხვა მცირე წინასწარმეტყველთა (ამოსი, მიქეა, ნაუმი, სოფონია) წიგნებთან ერთად ნაკვლევი აქვს გერმანელ მეცნიერს იულიუს ასფალგს. დასახელებულ წიგნთა ქართული თარგმანის წარმომავლობის კვლევა მისი საჰაბილიტაციო შრომის ცენტრალური საკითხია, რომელსაც მკვლევარი სწორი მეთოდოლოგიით, წყაროთა მაქსიმალური რაოდენობის გათვალისწინებით შეისწავლის, მაგრამ მიუხედავად ამისა მცდარი დასკვნა გამოაქვს, რომ ქართული თარგმანი მომდინარეობს სომხურიდან და მოგვიანებით საფუძვლიანად გასწორდა ბერძნულის მიხედვით.

ჩვენს კვლევაში წარმოდგენილია ამ დასკვნის გამაბათილებელი არგუმენტები. ემპირიული მასალის დაწვრილებითი ანალიზის შედეგად დავადგინეთ, რომ ზაქარიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული თარგმანის დედნის ენა ბერძნულია.

ნაშრომი რამდენიმე ნაწილისაგან შედგება. შესავალი, სადაც საუბარია ზაქარიას წინასწარმეტყველების წიგნის რაობაზე. ტექსტის შემცველ უცხოურ და ქართულ წყაროებზე, ქართულ გამოცემებზე. ძირითად ნაწილში წარმოდგენილია კვლევის ისტორია და ჩვენი კვლევის მეთოდოლოგია, რომლის შემდეგაც მოდის დაჯგუფებული მასალის განხილვა. ბოლოს კი დასკვნა.

ნაშრომს დანართის სახით ერთვის ტექსტის სინოპტიკური გამოცემა, რაც გულისხმობს ქართული მასალის ურთიერთ და უცხოურ წყაროებთან სიტყვასიტყვით შედარებას. ერთმანეთის გვერდით პარალელურ კოლონებში მოთავსებული ებრაული, ბერძნული, სომხური, ქართული წყაროების ტექსტები.

## **Annotation**

Presented work is research about the origin and translation technique of old Georgian translation (texts preserved in Oskhi and Jerusalem bibles) of the prophecy of Zechariah (one of the twelve minor prophets).

Text together with other minor prophets (Amos, Micah, Nahum, Zephaniah) was studied by German scholar Julius Assfalg. Research of the origins of Georgian translation of these books is the central part of his habilitation work, which is done with the right methodology (with foreseeing maximum quantity of the sources). Despite, the conclusion that Georgian translation originates from Armenian and later it was corrected according to Greek texts, is wrong.

Arguments refuting this opinion is presented in our research. After scrupulous analysis of empirical material, we established that language of the original of Georgian translation is Greek.

Paper contains several parts. Introduction, where talk about the essence of the book of Zechariah, Georgian and foreign sources and Georgian editions. In the main part research history and our research methodology is presented, which is followed by reviewing grouped material. The last part of this work is a conclusion.

Synoptic edition of the text (as supplement) encloses the work. This edition implies comparison of Georgian text to other Georgian and foreign texts. There, in parallel columns texts of Hebrew, Greek, Armenian and Georgian sources are presented.

## სარჩევი

შესავალი.....	5
ზაქარიას წინასწარმეტყველების ტექსტის წყაროები და გამოცემები.....	7
ზაქარიას წინასწარმეტყველების უცხოური წყაროები.....	7
ქართული წყაროები.....	8
ზაქარიას წინასწარმეტყველების ქართული ტექსტის გამოცემები.....	21
ზაქარიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული თარგმანის კვლევის პრობლემატიკა და წარმომავლობის კვლევის ისტორია.....	24
დედნის ენის დადგენის კრიტერიუმები.....	29
ბერძნული სიტყვის მცდარი გაგება ქართულ თარგმანში.....	29
ნასესხობები და საკუთარ სახელთა ფორმები.....	30
შეცდომა.....	33
ბერძნული კომპოზიტების კალკები ქართულ თარგმანში.....	34
ბერძნულ სიტყვათა ეტიმოლოგიური თარგმანები ქართულში, სომხურში კონტექსტუალური.....	42
სხვადასხვა ლექსიკური ერთეული.....	48
სომხური ვერ აწარმოებს ზოგიერთი ზმნის ორგანულ ფორმას მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების თარგმანში.....	52
ის, რაც ერთი შეხედვით სომხური შეიძლება გვეგონოს.....	54
მატერიალური შესატყვისობები.....	59
დასკვნა.....	65
გამოყენებული ლიტერატურა.....	66

# 1. შესავალი

ზაქარია წინასწარმეტყველი მეთერთმეტეა თორმეტ მცირე წინასწარმეტყველთა თანრიგში, მისი ებრაული სახელი זְכַרְיָה ნიშნავს “ღმერთს ახსოვს“. მართლმადიდებლურ საეკლესიო ტრადიციაში მოიხსენიება მანგლისმხილველად, იმის გამო, რომ მან იხილა „მანგალი მფრინვალე“ (Zech. 5:1 δρέπανον πετόμενον ცელი აღფრინებული), რასაც მაქსიმე აღმსარებელ იამგვარად განმარტავს: “მანგალი უკუფ არს უფალი ჩუენი იესუ ქრისტე – ღმრთისა მხოლოდშობილი ძე და სიტყუაჲ.”<sup>1</sup> როგორც ჰიმნოგრაფს დავით აღმაშენებელს თავის ჰიმნში „გალობანი სინანულისანი“ გამოუყენებია ეს სახე „არა შევძრწუნდი მანგლისაგან მფრინვალისა, რომელი შურსა სიკუდილისასა მიჰჰდის...“<sup>2</sup>

წინასწარმეტყველის ვინაობა, წარმომავლობა და მოღვაწეობის პერიოდი, წინასწარმეტყველებაშივეა მოხსენიებული. (Zech. 1:1) ზაქარია წინასწარმეტყველი ადოს მის ბარაქიას ძე. იგი ჭაბუკი იყო (Zech. 2:8), როცა მოუწოდა ღმერთმა საწინასწარმეტყველოდ დარიოსის მეფობის დროს. იგი არის ანგია წინასწარმეტყველის თანამედროვე. ამის გარდა მასზე არაფერია ცნობილი. ვარაუდობენ, რომ უნდა ყოფილიყო მღვდელი, თავისი წინაპრების მსგავსად. ზაქარია წინასწარმეტყველებს იუდეის მცხოვრებლებში, რომლებიც დაბრუნებულნი არიან ბაბილონის სამოცდაათწლიანი ტყვეობიდან.

წინასწარმეტყველების ტექსტი დაწერილია ებრაულად. მკვლევრები ტექსტს განსხვავებული სტილის გამო ძირითადად ორ ნაწილად ყოფენ: პროტო ზაქარია 1-8 თავი და დევტერო ზაქარია 9-14. ზოგი სამნაწილადაც ყოფს: თავები 1) 1-6, 2) 7-8 და 3) 9-14. ეს დაყოფა უფრო შინაარსობლივია.

დარიოსის მეფობის მეორე წლის მერვე თვეს ღმერთმა პირველად მოუწოდა ზაქარიას. მან უნდა გადასცეს თანამცხოვრებლებს, რომ ნუ მიბამვენ თავიანთ მამებს, რომლებსაც ღმერთი განურისხდა და მიუბრუნდნენ ღმერთს და ღმერთიც მობრუნდება მათკენ.

<sup>1</sup> K 14

<sup>2</sup> <http://www.orthodoxy.ge/lotsvani/galoba/davit-galobani.htm>

დარიოსის მეფობის მეორე წლის მეთერთმეტე თვის, ებრაული სახელწოდებით- საბატის, ოცდაოთხ რიცხვში, წინასწარმეტყველმა ღამით იხილა რვა ხილვა.

დარიოსის მეფობის მეოთხე წლის მეცხრე თვის (ებრაულად ქასლევის) ოთხ რიცხვში უფალი მიავლენს ზაქარია წინასწარმეტყველს მღვდლებთან და ერის ადამიანებთან წარსული ნამოქმედარის შესახსენებლად და როგორ უნდა მოიქცნენ ახლა, რომ სათნო ეყონ უფალს.

ამის შემდეგ მოდის წინასწარმეტყველება მესიის შესახებ. უფლის დიდებით შესვლა იერუსალიმში (9:9). მისი ოცდაათ ვერცხლად გაყიდვა და საზღაურით მეკეცის მიწის ყიდვა (11:12-13). მაცხოვრის გვერდის განგმირვა (12:10). მოციქულთა დაფანტვა (13:7). მაცხოვრის ჯვარცმის დროს მზის დაბნელება (14:6-7). მკვეთრ პარალელებს პოულობენ ახალ აღთქმაში და განსაკუთრებით იოანეს გამოცხადებაში.

## **1.1. ზაქარიას წინასწარმეტყველების ტექსტის წყაროები და გამოცემები**

## A. ზაქარიას წინასწარმეტყველების უცხოური წყაროები

მცირე წინასწარმეტყველთა ბერძნული ტექსტის გამომცემელი იოსეფ ციგლერი გეტინგენის სეპტუაგინტას გამოცემაში, Septuaginta, Vetus Testamentum Graecum, XIII, Duodecim prophetae, ed. Joseph Ziegler, 3. Aufl. 1984, ჩამოთვლის მცირე წინასწარმეტყველთა ტექსტის პირდაპირ და არაპირდაპირ წყაროებს. ესენია: **უნციანები:**

A -კოდექს ალექსანდრინუსი „codex Alexandrinus“ VI

B-კოდექს ვატიკანუსი „codex Vaticanus“ IV

Q-კოდექს მარჩალიანუსი „codex Marchalianus“. VI.

S -კოდექს სინაიტისკუსი „codex Sinaiticus“ IV

V -კოდექს ვენეტუსი „codex Venetus“ VIII

W -ვაშინგტონის პაპირუსი. დაახლოებით III

44 მინუსკულური ხელნაწერი

ბერძენ მამათა კომენტარები, ძველი ლათინური თარგმანები La: La<sup>w</sup> La<sup>c</sup> La<sup>s</sup>, კობტური თარგმანები Co: აჩმიმური Ach, საჰიდური Sa და ბოჰაირული Bo, სირიული თარგმანები: სიროპალესტინური Syp და სიროპექსაპლური Syh, ეთიოპური თარგმანი Aeth, არაბული თარგმანი Arab, სომხური თარგმანი Arm.

ციტატები. ა) ფილონ ალექსანდრიელთან ბ) ახალ აღთქმაში გ) მოციქულებრივ მამებთან

ციგლერი აჯგუფებს წყაროებს

I W B-S-V

W W'' = W + 407-410

## II ალექსანდრიული ტექსტი

(W) A-Q-26-49-106-198-233-393-(407)-(410)-449-(534)-(538)-544-(613)-710-764-770-919; (36-86<sup>e</sup>); (La); (AchSa); Bo; Aeth; Arab; Cyr.; Bas.N.; (altlat. Väter-Zitate)<sup>1</sup>)

## III ჰექსაპლური რეცენზია

O = Q<sup>mg</sup> (oder Q<sup>e</sup>) + Syh

ორიგენე-ასტერიზებული /ობელოსიანი

## IV ლუკიანეს რეცენზია

L'' = 22-36-48-51-231 (nur Fragment)-719-763 (L) + 62-147 (II) + 46-86-711 (III); 49, 407, 410, 449, 576, 613, 764, 770; 96<sup>c</sup> 239<sup>c</sup> 710<sup>c</sup> 764<sup>c</sup> 770<sup>c</sup> 87<sup>c</sup>-91; S<sup>ca</sup> Q<sup>cb</sup> (oder<sup>mg</sup>b) Syh<sup>mg</sup>; V; Arm; Conatit.; Chr.; Th.; Tht.; Cyr.; Bas.N.; Thph.

## V კატენური ჯგუფი

C = 87-91-490 (C) + 130-311-538 (c); 68; 96; 239; 534; 613; Syp; Arm; Thph.; Hi.

## B. ზაქარიას წინასწარმეტყველების ქართული წყაროები

O -ომკის ბიბლია Athos 1 978-979 წწ. ინახება ათონის მთის წიგნთსაცავში. ზაქარიას წინასწარმეტყველების ტექსტი მოთავსებულია 413r-423r გვერდებზე. ტექსტი ნაკლულია აკლია 1:15-16 მუხლები. შესაძლოა პარაბლესისის მიზეზით. 1:14 და 1:17 ერთნაირად იწყება „და მრქუა მე ანგელოზმან“. ასევე აკლია დიდი მონაკვეთი 11:7-13:9 (2 ფურცელი). დასათაურებულია: *წინასწარმეტყველებაჲ ზაქარიაჲსი*. ტექსტი ნაწერია ყავისფერი

მელნით, ეტრატზე, ორ სვეტად. სათაურები შესრულებულია სინგურით. დაყოფილია დიდ და მცირე მონაკვეთებად საზედაო, მთავრული, ყავისფერი ასოებით, რომლებიც ზომით არ განსხვავდებიან. გადამწერია მიქაელი.

**ქ-** ბიბლიის იერუსალიმური ხელნაწერი Jer 11/7<sup>3</sup> XI ს. ინახება იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.

დიდ და მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების შემცველი ორ ნაწილად გაყოფილი კოდექსის N7 ხელნაწერში ზაქარიას წინასწარმეტყველების ტექსტის პოვნა შესაძლებელია 21r-31v. ნაწერია კალიგრაფიული ნუსხურით, ორ სვეტად, ეტრატზე, შავი მელნით. წინასწარმეტყველთა წიგნების სათაურები ასომთავრულითაა შესრულებული. მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების ოშკური ტიპის თარგმანი ახლოს დგას თავის ბერძნულ დედანთან, რასაც ტექსტის სპეციფიკა განაპირობებს. ეს არ არის ნარატივი, ესაა სახეებით მეთყველება, პროფორისტული ენით გამოთქმა წინასწარმეტყველთა ხილვებისა, ღმერთის სიტყვის ადამიანის ენით განცხადება.

**გ-გელათის კატენებიანი ბიბლია XII-XIII ს.ს.** ბიბლიის გელათური ვერსია ორი ხელნაწერითაა ჩვენამდე მოღწეული: A 1108 ე.წ. ავტოგრაფული ნუსხა და მისი ასლი Q 1152, დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. წინასწარმეტყველთა წიგნები მხოლოდ A 1108 ხელნაწერშია. ზაქარიას წინასწარმეტყველების ტექსტი ნაკლულია. იწყება 299r-ზე 1:12 მუხლიდან (ებ იწრუსალიმსა) და გრძელდება 3:2-მდე (და შეგრისხ). ისევ გრძელდება 5:2-დან (და სივრცით) 8:6-მდე 301v. ნაწერია ქალაქდზე, წვრილი ყავისფერი ასოებით, სწავლულის ხელით. ერთკოლონიანია. აშიებზე მიწერილი აქვს მხოლოდ პარალელური ადგილები და არა განმარტებები. გელათის ბიბლიაში დაცული ზაქარიას წინასწარმეტყველების ტექსტი არ ჩანს, რომ საფუძვლიანად იყოს ნასწორები, ამიტომ იგი ოშკურის რეცენზიად უნდა ჩავთვალოთ, თუმცა ჯერ-ჯერობით არ არის გარკვეული მცირე წინასწარმეტყველთა რა

---

<sup>3</sup> <https://www.loc.gov/item/00271072338-jo/?fbclid=IwAR1AFvqPE2Co3CCTdExhrYJo99Qq49FQLj6DLtkj-U0szBc57KsYU7WWcc>

ტექსტის რეცენზირება მოხდა გელათის სკოლაში. ფიქრობენ, რომ ეს უნდა ყოფილიყო ოშკური რედაქციის ტიპის უძველესი თარგმანი<sup>4</sup>.

**S-მცხეთური ხელნაწერი** A 51 XVII-XVIII ს.ს. ინახება თბილისში, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში. „წინასწარმეტყველება ზაქარიასი“ 571v-577v.

B-ბაქარის ნაბეჭდი ბიბლია „ქართული ბიბლიის მოსკოვური გამოცემა“ 1743 წ. თბილისი, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A 455.

ზაქარიას წინასწარმეტყველების ტექსტი მოთავსებულია შემდეგ გვერდებზე pg. 95-109.

ბაქარმა წინასწარმეტყველთა წიგნების გელათური ბიბლიის ტექსტი დაბეჭდა, რომლის 4 თუ 5 ეგზემპლარი ჩამოიტანეს საქართველოში და მას ხელნაწერის მნიშვნელობა ენიჭება.

**Sin 37<sup>5</sup>-სინის ლექციონარის** სახელით ცნობილი იერუსალიმური ლექციონარი 982 წლითაა დათარიღებული. ინახება სინის მთაზე, წმინდა ეკატერინეს სახელობის მონასტერში. იერუსალიმური კანონის გამოკრებილი ნუსხა, შეიცავს მხოლოდ ძირითად საუფლო დღესასწაულთა განგებებს. გადაწერილია იოანე-ზოსიმეს მიერ, მისი სპეციფიური ხელით, წაგრძელებული ასომთავრულით, ლექციონარის პირველი ნაწილი, ხოლო მეორე ნაწილი ე.წ. ჰიმნოგრაფიული დანართი, ნუსხურით. ერთ სვეტად.

**L<sup>K</sup>-კალის (ლაგურკის) ლექციონარი** X საუკუნე. დაცულია თბილისში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ნომრით Q 1653, „კალას ხელნაწერი“. ნაწერია ორ სვეტად, კალიგრაფიული მთავრულით, ყავისფერი მეღნიტით ეტრატზე. სათაურები სინგურით.

**L<sup>L</sup>-ლატალის ლექციონარი** X საუკუნე. ამჟამად ინახება მესტიის მუზეუმში. ნაწერია ეტრატზე ორ სვეტად მთავრული ასოებით.

---

<sup>4</sup> თ. ცქიტიშვილი ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, თბილისი 1976, გვ.214-215

<sup>5</sup> <https://www.loc.gov/resource/amedmonastery.00279386966-ms/?sp=1>

L<sup>P</sup>-პარიზის ლექციონარი X-XI საუკუნის მიჯნა. პარიზი, ნაცონალური ბიბლიოთეკის აღმოსავლური ფონდი, Geo. N3<sup>6</sup>. ნაწერია ეტრატზე, კალიგრაფიული ნუსხა-ხუცურით ორ სვეტად.

ზაქარიას წინასწარმეტყველების თარგმანის ქართულ წყაროები ასე დაჯგუფდება: 1. ომკური რედაქცია Geo<sup>OJ</sup>, 2. ლექციონარები Geo<sup>PLKS37</sup> 3. გელათური Geo<sup>(G)SB</sup>.

ლექციონარი თავისი სპეციფიკის მიუხედავად ბიბლიის თარგმანისა და ტექსტის ისტორიის სრული სურათის წარმოდგენისთვის უმნიშვნელოვანესი წყაროა, მაგრამ მიმართებები ბიბლიის ტექსტსა და ლექციონარში შესულ ბიბლიის საკითხავებს შორის ცალკე კომპლექსურ შესწავლას მოითხოვს, ამიტომ ამ საკითხს ნაშრომში არ შევხებით, თუმცა ერთს ვიტყვით, ზოგადი შთაბეჭდილებით, ლექციონარებსა და ბიბლიის ომკური-იერუსალიმურ ხელნაწერებში დაცული ზაქარიას წინასწარმეტყველების ტექსტის თარგმანი ერთია. ზოგი საკითხავის შემთხვევაში ლექციონარები თარგმანის არქაულ პლასტს შეიცავენ. ზოგ შემთხვევაში არ განსხვავდებიან ბიბლიის ტექსტისგან.

ზაქარიას წინასწარმეტყველების ტექსტი ფართოდ ყოფილა გამოყენებული ღვთისმსახურების იერუსალიმურ პრაქტიკაში, რასაც პარიზის ლექციონარში არსებული ოცდაოთხი საკითხავი მოწმობს. ამათგან ყველაზე ძველი საკითხავებია ვნების კვირის ოთხშაბათისა და პარასკევის, რომელიც ყველა ლექციონარშია. და ხარების საკითხავი, რომელიც ყველგანაა Sin 37 გარდა.

წინამდებარე ცხრილი წარმოადგენს ერთგვარ საძიებელს, დეტალურ ინფორმაციას ზაქარიას წინასწარმეტყველების ტექსტის ადგილის შესახებ ლექციონარებში და აღნუსხვას იმ დღესასწაულებისა, რომელზედაც ზაქარიას წინასწარმეტყველების ტექსტი იკითხებოდა ღვთისმსახურების იერუსალიმური წეს-განგების თანახმად. პარიზის, კალასა და სინის ლექციონარებში ზაქარიას წინასწარმეტყველების ყველა საკითხავია ნაპოვნი. ლატალში მხოლოდ ერთი. დანარჩენი საგულდაგულოდაა მოსაძებნი.

---

<sup>6</sup> <https://gallica.bnf.fr/ark:/12148/btv1b531293546.r=g%C3%A9orgien?rk=278971;2>

		პარიზის L <sup>P</sup>	კალას L <sup>K</sup>	ლატალის L <sup>L</sup>	Sin 37
1	საკითხავნი: ათორმეტთა: წინაისწარმეტყუელთანი: იზ: საკითხავი: ზაქარია წინაღწარმეტყუელისა	1:1-6 341r			
2	საკითხავი ათორმეტთა წინაღწარმეტყუელთანი იზ: საკითხავი ზაქარია წინაღწარმეტყუელისა	1:12-2:9 341v			
3	თთუესა სეკდენბერსა იგ. ანასტასიას. სატფური რომელ არს ენკენიად: წინა დღით მწუხრი. საკითხავი: ზაქარია: წინაღწარმეტყუელისა;	1:16-2:5 283v 284r			
4	საკითხავი ათორმეტთა წინაღწარმეტყუელთანი კზ საკითხავი ზაქარია წინაღწარმეტყუელისა ჰპოო ენკენასა	1:16-2:5 342v			
5	თთუესა სეკტენბერსა იგ.	1:16-2:5			

	ანასტასიას სატფური რომელ არს ენკენად სამხრად: ბ: საკითხავი ზაქარია წინაღწარმეტყუელისად	341v			
6	საკითხავი ათორმეტა წინაღწარმეტყუელთანი  ით: საკითხავი: ზაქარია წინაღწარმეტყუელისად ჰპოო ხარებასა	2:10-13  342r			
7	მარტა კე ხარებაი წმიდისა ღმრთისმშობელისად სამხრად ბ საკითხავი ზაქარია წინაღწარმეტყუელისად	2:10; 2:13  15 r		2:10-13  23r	
8	„ხილვად ზაქარიას დადუმებად“ სექტემბერი კზ	2:13-3:4		2:13	

9	<p>იენისსა ი  ზაბინოზ ხუცისა  შწნებულსა ახალსა:  ზაქარია წმიდასა ორსა  მილიონსა ზაქარია  წინაღწარმეტყუელისა:  ა საკითხავი ზაქარია  წინაღწარმეტყუელისა</p>	<p>3:7-6:15  249v</p>			
10	<p>თთუესა ოკდონბერსა ზ.  პროკოპის ეკლესიასა.  კსენებად  პეტრესი. პავლესი.  ანდრეასი. ფილიპესი.  თომასი  მოციქულთა. ესაიასი.  ზაქარიასი.  წინაღწარმეტყუელთა  მოწამეთა.  პანტელეონისი.  თეოდორესი. სერგისი.  ქრისტეფორესი. მამასი.  და მათთანა წმიდათა:  საკითხავი: ზაქარი  წინაღწარმეტყუელისა:  ამას</p>	<p>3:7-6:15  286v</p>			

	იტყვს უფალი ყოვლი{***}: ჰპოო: ივნისა; ო :				
11	<p>თთუესა ივლისა ოწ. 3:7-6:15</p> <p>ბეთლემის გზასა. 265r</p> <p>რაქელის საფლავსა</p> <p>ზედა. კსენებად მისი.</p> <p>დადგმად წმიდისა</p> <p>სტეფანესი. იოვანე</p> <p>ნათლისმცემელისა.</p> <p>ზაქარია</p> <p>წინაღწარმეტყუელისა.</p> <p>წმიდათა</p> <p>მოწამეთა. ფოკადსი. და</p> <p>ტრაქოს. პრობოზ</p> <p>ანდრონიკუსი.</p> <p>გ : საკითხავი: ზაქარია</p> <p>წინაღწარმეტყუელისა:</p> <p>ამას იტყვს უფალი</p> <p>ყოვლისა მპრობელი:</p> <p>ჰპოო: ივნისა: ო :</p>				
12	<p>თთუესა აგვსტოსა ქე. 3:7-6:15</p> <p>იობელანის შწნებულსა. 172r</p> <p>დადგმად ესაიადსი:</p> <p>ზაქარია</p> <p>წინაღწარმეტყუელისა:</p> <p>სამთა</p>				

	<p>ყრმათად. ანანია. აზარია. და მისაელისი. და წმიდათა ორმოცთად. ნ : საკითხავი: ზაქარია: წინაღწარმეტყუელისად: ამას იტყვს უფალი ყოვლისა მპყრობელი: ჰპოო: ივნისა: რ :</p>				
13	<p>საკითხავი ათორმეტთა წინაღწარმეტყუელთანი კ საკითხავი ზაქარია წინაღწარმეტყუელისად</p>	<p>7:5-12 342r</p>			
14	<p>საკითხავი ათორმეტთა წინაღწარმეტყუელთანი კა საკითხავი ზაქარია წინაღწარმეტყუელისად</p>	<p>8:3-8 342r 342v</p>			
15	<p>მე-დ : დღესა: კრებად ნეა წმიდას; სატფური. საკითხავი: ზაქარია წინაღწარმეტყუელისად; ესრე იტყვს უფალი ყოვლისა მპყრობელი: ჰპოო: ლიტანიისათა: ჰა :</p>	<p>8:3-8 348v</p>			
16	<p>წმიდასა კვრიაკვსა: დღესა ყველითა აღებასა:</p>	<p>8:14-19 32r</p>			

	<p>ზ : საკითხავი ზაქარია წინადაწარმეტყუელისა:</p>				
17	<p>თთუესა მაისსა კვ : ბეთბაგეს დაბასა. ხსენებამ მოციქულთად ფილიპესი თომადსი და ზაქარია წწტყლისდ ა. საკითხავი ზაქარია წინადაწარმეტყუელისა გიხაროდენ ასულო სიონისაო ჰპოო ბზობასა უკუეთუ ზატკთა იყოს პრაქსი ესე მაშინ მიიქცეს იგი ჰპოო ამალღებად საკითხავს შინა</p>	<p>9:9-15 248 r</p>			
18	<p>წმიდასა კვრიაკვსა: მასვე ოთხშაბათსა: მწუხრი: კრებად: სიონს: გ : საკითხავი: ზაქარია: წინადაწარმეტყუელისა:</p>	<p>9:9-15 148 v</p>	<p>მეექუსესა ოთხშაბათ სა მწუხრი მეორწ საკითხავი ზაქარია წინაწარმე ტყუელისა დ</p>		

			<p>გიხაროდენ ფრიად ასულოსი ონისაო-უფალი ყოვლისა მპყრობელი შეეწიოს მათ</p> <p>9:9-15</p> <p>53v</p> <p>54r</p>		
19	<p>საკითხავი ათორმეტა წინადაწარმეტყუელთანი</p> <p><b>კვ</b> საკითხავი ზაქარია წინადაწარმეტყუელისად</p>	<p>9:16-10:7</p> <p>342v 343r</p>			
20	<p>დიდს[ა] (!): ოთხშაბათსა:</p> <p>მწუხრი: კრებად</p> <p>მარტვიონს:</p> <p>გ : საკითხავი: ზაქარია:</p> <p>წინადაწარმეტყუელისად:</p> <p>და იცვნეს ქანანელთა:</p>	<p>11:10-14</p> <p>171r</p>	<p>[დიდ ოთხშაბათს]</p> <p>მესამეწ საკითხავი ზაქარია</p>		<p>დიდი ოთხშაბათი მეგ საკითხავი ზაქარია</p>

	ჰპოო: დიდსა პარასკევსა:		წინაწარმ ტყუელისა ო და იცნეს ქანანელთა ცხო:. ჰპოო დიდსა პარასკევსა ათორმეტ თა თავით:. 11:11-14 74 r		წწყლსო 11:11-14 119v-120r
21	დიდსა პარასკევსა: ა : საკითხავი: ზაქარია: წინაღწარმეტყუელისაჲ:	11:10-14 186v	დიდსა პარასკევსა პირველი საკითხავი ზაქარია წინაწარმე ტყუელისა ო 11:11-14 83 v		
22	დიდსა პარასკევსა: ექუს ჟამითგან: წინაშე	14:5-9 194r	ლოცვაჲ მუხლთა		ლოცვაჲ მუხლთა

	წმიდასა გოლგოთასა იყოს: კრებად: რე : საკითხავი: ზაქარია: წინადაწარმეტყუელისად:		მოდრეკი თ მეიე საკითხავი ზაქარია წინაწარმე ტყუელისა დ 14:5-9 90v		მოდრეკი თ მეიე საკითხავი ზაქარია წინაწარმე ტყუელისა დ 14:5-11 203r-204r
23	თთუესა აგუსტოსა ჭ. ხატისა ცვალებად მაცხოვრისად. რომელი ყო მთასა ზედა თაბორსა. სამწრად ოხითად: შ : საკითხავი: ზაქარია: წინადაწარმეტყუელისად:	14:16-21 266r			
24	თთუესა იანვარსა: ჳთ : პატიოსნისა ჯუარისად რომელი კოსტანტინე მეფესა გამოუჩნდა: საკითხავი: ზაქარია: წინადაწარმეტყუელისად:	14:20-21			

	და იყოს მას დღესა შინა რომელი იყოს: ჰპოო: აგუსტოსა: საკითხავსა შინა:				
--	-------------------------------------------------------------------------------	--	--	--	--

### C. ზაქარიას წინასწარმეტყველების ქართული ტექსტების გამოცემები

- ზაქარიას წინასწარმეტყველების ტექსტი პირველად იულიუს ასფალგმა გამოსცა სხვა მცირე წინასწარმეტყველებთან ერთად (ამოსი, მიქეა, იონა, სოფონია) თავისი სადოქტორო დისერტაციის ფარგლებში, 1959 წელს.

Julius Assfalg, *Altgeorgische Übersetzungen der Propheten Amos, Michaeas, Jonas, Sophonias und Zacharias. Texte aus den georgischen Handschriften Jerusalem Nr 7 und 11 (11 Jh.). Athos Nr. 1 (A.D.978), Sinai Nr 37 (10 Jh.) herausgegeben und untersucht, Habilitationsschrift, München, 1959.*

- ბიბლიის მცირე და დიდი წინასწარმეტყველების სრული კორპუსი გამოსცეს უცხოელმა მეცნიერებმა ბლეიკმა და ბრიერმა.

R.P. Blake, M. Brière (eds.), *The Old Georgian Version of the Prophets (Prophetae minores.) (PO 139 (29.2)), Paris: Firmin Didot, 1961*

R.P. Blake, and C.M. Brière (eds.), *The Old Georgian Version of the Prophets: Apparatus Criticus (PO 30.3; Paris: Firmin Didot, 1963).*

- კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ძველი აღთქმის სამეცნიერო გამოცემის ფარგლებში, ნარგიზა გოგუაძის მიერ მომზადებული მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების გამოცემა, რომელიც ახლახანს დაიბეჭდა.

ბიბლია. ძველი აღთქმა, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრი, 2017

- ელენე დოჩანაშვილის მიერ გამოცემული საბას რედაქციის ტექსტი მცხეთური ბიბლიის დიპლომატური გამოცემის ფარგლებში.

ელ. დოჩანაშვილი (გამომც.), *მცხეთური ხელნაწერი (დანიელის, მცირე წინასწარმეტყველთა და ახალი აღთქმის წიგნები), თბილისი, მეცნიერება, 1986*

- პარიზის ლექციონარის ხელნაწერის გამოცემა, სადაც შესულია მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების საკითხავები.  
კ. დანელია, ს. ჩხენკელი, ბ. შავიშვილი (გამომც.), ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1987.
- ელექტრონული გამოცემა <http://www.bible.ge/Manuscript/2win.htm>

## 2. ზაქარიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული თარგმანის კვლევის პრობლემატიკა და წარმომავლობის კვლევის ისტორია

ცენტრალური კითხვები ქართული ბიბლიის გარშემო ჯერ ისევ პასუხგაუცემელია. ერთხელ ითარგმნა იგი, თუ რამდენჯერმე, როდის, როგორ გარემოში. როგორ მივიღეთ ტექსტის ის ფორმა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. რა ხარისხითაა ტექსტები ნასწორები. დასადგენია, როგორ გამოიყურებოდა თავდაპირველი თარგმანი. არ არის გარკვეული ბიბლიის შემადგენელი ყველა წიგნის წარმომავლობა (დედნის ენა და ტექსტუალური ტიპი). ევროპაში ჯერ კიდევ ავტორიტეტულია მოსაზრება, რომ ქართული ბიბლია მთლიანად თარგმნილია სომხურიდან. ეს აზრი ნიკო მარმა გააჟღერა მე-20 საუკუნის დასაწყისში, რომლის გაგრძელებაც იყო რობერტ ბლეიკისა და იოსებ მოლითორის ცდა ტექსტოლოგიური მასალის საფუძველზე ქართული თარგმანის გზით აღედგინათ ჩვენამდე არმოდწეული სირიული და სომხური თარგმანები. ქართველ მეცნიერთა მიერ ქართული ბიბლიის ცალკეულ წიგნთა შედარებამ უცხოენოვან წყაროებთან გამოკვეთა, რომ მათი დედნის ენა ბერძნულია. მაგ. მცირე წინასწარმეტყველის ამოსის<sup>7</sup>, ზირაქის სიბრძნის<sup>8</sup>, ეზეკიელის წინასწარმეტყველების<sup>9</sup> და სხვა წიგნების თარგმანისათვის.

ჩვენ არ უარვყოფთ ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობებს. არ უარვყოფთ რომ ქრისტიანული მწერლობის სხვადასხვა ქანრის (აგიოგრაფია, აპოკრიფები, ეგზეგეტიკა) ზოგიერთი ძველი თარგმნილია სომხურიდან. არც იმას უარვყოფთ, რომ ოშკის ბიბლიის კოდექსშიცაა შესული სომხურიდან თარგმნილი თუ სომხურის მიხედვით

---

<sup>7</sup> Anna Kharanauli, "Battling the Myths: What Language Was the Georgian Amos Translated From?," in XV Congress of the International Organization for Septuagint and Cognate Studies Munich 2013, eds. Wolfgang Kraus et al., SBLSCS 64 (Atlanta: SBL, 2016), 241-265.

<sup>8</sup> Anna Kharanauli and Natia Chantladze, *Oi Alloi or Lost Anonymous Literary Editions of Sirach Preserved in the Georgian and Armenian Translations*, in: *The Embroidered Bible: Studies in Biblical Apocrypha and Pseudepigrapha in Honour of Michael E. Stone*, Edited by Lorenzo DiTommaso, Matthias Henze, and William Adler, *Studia in Veteris Testamenti Pseudepigrapha*, Leiden: E.J. Brill, 2017

<sup>9</sup> ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები / ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თინათინ ცქიტიშვილმა; რედ.:გ. წერეთელი და ს. ცაიშვილი; საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია. თბილისი : მეცნიერება , 1976.

ნასწორები ტექსტები. მაგ. ეზრა 1, აპოკრიფული ეზრა, მაგრამ ვეწინააღმდეგებით ამ მოსაზრების მთელ ბიბლიაზე გავრცელებას.

ქათულად ნათარგმნი ბიბლიის სომხურთან მიმართების კვლევა რთულია იმის გამო, რომ არც სომხური ბიბლიაა საფუძვლიანად შესწავლილი, არაა თითოეული წიგნის წარმომავლობა დადგენილი. არც ენის მდგომარეობაა დახასიათებული და არც თარგმანის ხასიათია ბოლომდე გამოკვლეული. მოსაზრებები ჰიპოთეტურია და არა ემპირიული მასალის კვლევის შედეგად გამოთქმული.

სომხური საისტორიო წყაროების თანახმად სომხური ბიბლიის თარგმნა მაშტოცის, საჰაკისა და მათი მოწაფეების სახელთანაა დაკავშირებული. ითვლება, რომ დამწერლობის შექმნიდან 30 წელიწადში მოხდა სრული ბიბლიის თარგმნა, რასაც წინ უსწრებდა თარგმანის ზეპირი ტრადიცია და ბერძნული ტრანსკრიბცია სომხური ტექსტისა. კორიუნი დედნად ბერძნულს მიიჩნევს, ლაზარე ფარპელი-სირიულს, ხოლო მოსე ხორენელი ბერძნულ და სპარსულ ენებს. სომხურად ძველი აღთქმის წიგნების შემცველი მრავალი ხელნაწერია შემორჩენილი, მათ შორის არის ადრეული ფრაგმენტებიც. კოდექსთა შორის, ყველაზე ძველს 1151 წლით ათარიღებენ. შემდეგ მოდის 1199 წლით დათარიღებული იერუსალიმური ხელნაწერი. რაც შეეხება გამოცემებს, სომეხი და ევროპელი მეცნიერები ფილოლოგიური კვლევებისთვის იყენებენ ზოჰრაბის გამოცემას და მის გამეორებას კონსტანტინეპოლურს და ბაგრატუნის გამოცემას.

ჩვენს ნაშრომში ვიყენებთ 1805 წელს ზოჰრაბის მიერ გამოცემულ ბიბლიას. იგი ეყრდნობა 1319 წლით დათარიღებულ ვენეციის მხითარისტების ხელნაწერს, რომლის ნაკლები ადგილებიც შევსებულია სხვადასხვა ხელნაწერების მიხედვით.

დღეს, როცა თარგმანის პერიოდს მრავალი საუკუნე გვაშორებს და არც არაფერს შეუძლია მათზე რეალურად მოგვიყვას, ერთადერთი მოლაპარაკე საკუთარ თავზე თვითონ ტექსტია.

როცა ამ ორ თარგმანს, ქართულსა და სომხურს, ბერძნულის შუქზე ერთმანეთს სიტყვასიტყვით ადარებ, ხედავ რომ ერთმანეთს გვანან, არა იმიტომ რომ ერთი დამოკიდებულია მეორეზე, არამედ იმიტომ, რომ დედანი აქვთ ერთი. ორივეს უჭირს, ორივე წვალობს, ორივე ეძებს დედნის ადეკვატებს. ორივე თარგმანს ემჩნევა თარგმანის ერთნაირი ეტაპი, ენა გამოუცდელია, მთარგმნელობითი მეთოდი-შეუმუშავებელი. საბოლოო პროდუქტი მშვენიერია, გასაოცარი, მაგრამ იქამდე მისასვლელი გზები რთულია და კომპრომისული.

ეს ორი ერი ცხოვრობს გვერდიგვერდ, კავკასიის რეგიონში „ყურესა ამას ქუეყანისასა“, ორივე გადის განვითარების, გადარჩენის, თვითმყოფადობის შენარჩუნების საკუთარ გზებს. ორივე ცდილობს მიზამოს სამყაროს ცენტრს. და მეტოქეობაც ხომ სწორედ ასე ჩნდება, ვინ უფრო მეტად მიზამავს.

ძველი აღთქმის მცირე წინასწარმეტყველის, ზაქარიას ძველი ქართული თარგმანის წარმომავლობის პრობლემა არაქართულ სამეცნიერო სივრცეში გამოკვლეული აქვს, გერმანელ მეცნიერს იულიუს ასფალგს<sup>10</sup>, თავის საჰაბილიტაციო ნაშრომში სხვა მცირე წინასწარმეტყველთა (ამოსი, მიქეა, იონა, სოფონია) ქართული თარგმანის წარმომავლობასთან ერთად. ყოველი წინარე კვლევა რომ შემდგომისთვის ძალიან მნიშვნელოვანია არ საჭიროებს სიტყვის გაგრძელებას, მაგრამ ქართული ბიბლიის კვლევაში შეტანილი წვლილისთვის განსაკუთრებით აღსანიშნი და დასაფასებელია იულიუს ასფალგის ეს ნაშრომი. ძნელი წარმოსადგენი არ არის თუ რამდენ სიძნელესთან და მძიმე შრომასთან იქნებოდა დაკავშირებული ასეთი სერიოზული, ღრმა, დაწვრილებითი კვლევა სრული ტექსტებისა. გვინდა, მოკლედ მიმოვიხილოთ ნაშრომის სტრუქტურა, მეთოდი და კვლევის შედეგი.

ნაშრომი სამნაწილიანია. პირველი ნაწილი ტექსტის გამოცემაა. ძირითად ტექსტად ტრადიციულად აღებულია ბიბლიის იერუსალიმურ ხელნაწერში დაცული ტექსტი, ხოლო

---

<sup>10</sup> J. Assfalg, Altgeorgische Übersetzungen der Propheten Amos, Michaeas, Jonas, Sophonias und Zacharias.

აპარატში გატანილია ბიბლიის ოშკურ და Sin 37 ლექციონარის ხელნაწერში დაცული ტექსტის განსხვავებული ჩვენებები.

მეორე ნაწილი გამოკვლევას ეთმობა, აქ მკვლევარი წარმოადგენს მიმართებებს ქართულ ხელნაწერებში დაცული ტექსტებისა ერთმანეთთან და უცხოურ (სომხურ, ბერძნულ, სირიულ) წყაროებთან. თითოეული წიგნისთვის ცალ-ცალკე. საანალიზო ბერძნული სიტყვა ჩასმული აქვს ლემაში ([]), ლემის ნიშნის შემდეგ სვამს სხვა წყაროების აღმნიშვნელ ლიტერებს, სირიულისთვის (Syh, Sp), სომხური (Arm) , ქართული (JO, Mo). მათ შორის მიმართებებს აჩვენებს ტოლობის ნიშნით (=), განსხვავებულ ვარიანტებს გამოყოფს ორწერტილით (:). მაგ. 7,3 λέγων 1<sup>0</sup>] Syh= JO da hrk'uas et dixerunt (=λέγοντες Q?) : Mo da t'k'mad et ad dicendum =Arm Sp. უმეტეს შემთხვევაში ქართულის ჩვენებები ნათარგმნი აქვს ლათინურად ან ბერძნულად, ზოგჯერ სომხურიც.

მესამე ნაწილში წარმოდგენილია დაჯგუფებული მასალა და დასკვნა. ასფალგი ერთად განიხილავს სომხურის, ქართული ხელნაწერებისა და სეპტუაგინტას აპარატის შესატყვისობებს, რაც არ არის სწორი. სეპტუაგინტას ვარიანტების არსებობა ერთსა და იმავე ადგილას სომხურსა და ქართულში არ ნიშნავს იმას რომ ეს ვარიანტი ქართულში სომხურიდან თარგმანის გამოა, თუ აპრიორულად არ აიღებ, რომ ქართული თარგმანი სომხურიდან მომდინარეობს. საბოლოოდ, მასალა ცხადად აჩვენებს, რომ ქართული თარგმანი სომხურიდან არ არის შესრულებული, იგი ისევე როგორც სომხური, სეპტუაგინტადან მომდინარე ადრეული თარგმანია. მაგრამ მკვლევრის დასკვნით ქართული თარგმანი მომდინარეობს სომხურიდან და მოგვიანებით საფუძვლიანადაა შესწორებული ბერძნულის მიხედვით.

ჩვენი კვლევა ზაქარიას წინასწარმეტყველების ოშკურ-იერუსალიმურ ხელნაწერებში დაცული ძველი ქართული თარგმანის დედნის ენის გარკვევას ემსახურება. ამისათვის თავდაპირველად მოვიძიეთ ზაქარიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული თარგმანის შემცველი წყაროები-ბიბლიისა და ლექციონარის ხელნაწერები.

ოშკურ-იერუსალიმურ და გელათურ ბიბლიაში დაცულ ტექსტს უკვე არსებული გამოცემის ტექსტი შევუდარეთ.<sup>11</sup> ასევე მოვიქვეით ბაქარისა და მცხეთური ბიბლიის შემთხვევაში. ლექციონარის კალას, ლატალისა და სინ 37 ხელნაწერებიდან ტექსტი გადმოვწერეთ, ხოლო პარიზის ლექციონარის ტექსტი არსებული გამოცემიდან ავიღეთ<sup>12</sup>. საკითხავების რაოდენობის გარკვევისთვის ვისარგებლეთ თარხნიშვილის გამოცემით, მაგრამ ხელნაწერში გადამოწმების შემდეგ გაირკვა, რომ პარიზის ლექციონარში თარხნიშვილის მიერ მითითებული თექვსმეტი საკითხავის ნაცვლად ოცდაოთხია. შემდეგ ეს ტექსტები შევუდარეთ ერთმანეთს და უცხოურ წყაროებს (ბერძნულს, სომხურს) ცხრილების საშუალებით. ჩვენი ცხრილის პირველ კოლონაში მოთავსებულია ებრაული ტექსტი, რომელიც დაცულია ლენინგრადის კოდექსში<sup>13</sup>. მეორე კოლონაში სეპტუაგინტას გოტინგენის გამოცემის ბერძნული ტექსტი.<sup>14</sup> მესამე კოლონაში სეპტუაგინტას აპარატი. მეოთხეში-სომხური ტექსტი<sup>15</sup>. მეხუთეში ოშკურ-იერუსალიმური ტექსტი. მომდევნო კოლონებში ლექციონარები მიმდევრობით სინ 37, პარიზი, კალა, ლატალი და ბოლოს გელათური ტიპის ტექსტი. სინოპტიკური გამოცემის მომზადების შემდეგ ნათლად გამოჩნდა ურთიერთმიმართებები ქართული წყაროებისა ერთმანეთთან და უცხოურ წყაროებთან. შემდეგ დავიწყეთ ცხრილებიდან მასალის ამოკრება და დაჯგუფება. ყურადღებას ვაქცევდით სომხური თარგმანის ინდივიდუალურ სხვაობებს სეპტუაგინტასთან მიმართებით და ვაკვირდებოდით ბერძნულის რა ასპექტების ასახვა ვერ მოხდა მასში. ვეცადეთ მაქსიმალური რაოდენობის მაგალითის ანალიზის შედეგებით გვემსჯელა, რათა სისტემაში დაგვენახა ქართული და სომხური თარგმანი. როცა ვცდილობთ ავხსნათ ზაქარიას წინასწარმეტყველების ქართულ თარგმანში არსებული

<sup>11</sup> <http://www.bible.ge/Manuscript/2win.htm>

<sup>12</sup> ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი. ტ.1. ნაწ.1 : (ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები) / ტექსტი გამოსაც. მოამზადეს კ. დანელიამ, სტ. ჩხენკელმა და ბ. შავიშვილმა ; გამოკვლევა...დაურთო კორნელი დანელიამ ; [რედ.: აკაკი შანიძე].

<sup>13</sup> წყარო: ელექტრონული პროგრამა bibleworks <https://www.bibleworks.com/>

<sup>14</sup> Ziegler, J. (Ed.). (1984). Duodecim Prophetae (Vol. XIII, p. 308). Göttingen: Vandenhoeck & Ruprecht.

<sup>15</sup> [https://www.arak29.am/bible\\_28E/index.htm](https://www.arak29.am/bible_28E/index.htm)



იგლოვდა მას იერემია, ისრაელი და იუდა. სწორედ მათ ვაებასთანაა შედარებული იმ იერუსალიმელთა გლოვა, რომლებიც „ემდერდნენ“ უფალს.

წინასწარმეტყველთა წიგნების სტილი ბუნდოვანია სწორედ ამგვარი მხატვრული სახეებით მეტყველების გამო. არ დაკნინდება ქართველი მთარგმნელი თუ ვიტყვით, რომ მისთვის რთულია ამ სახეების გადმოტანა. როგორც ჩანს **πίσν, -ᾰνός, ὀ** მნიშვნელობა არ იცის და ტრანსკრიბციას აკეთებს **როონისად**, თუმცა სიტყვის ძირის **ბბბ**, ἡ (*pomegranate-tree*) მნიშვნელობა ქართველი მთარგმნელებისთვის ცნობილია. ოშკურ ტიპში ყველგან *მროწეულია*, გელათურში კი *ბროწეული*. Joel 1:12 **ბბბ** καὶ φοἰνῖξ ... ἔξηραῖθησαν *მროწეული* და დანაკის კუდი ... განჯმა Geo<sup>o</sup>. Hag. 2:19 ἡ **ბბბ** καὶ ἡ **ბბბ** ლელუსა და *მროწეულსა* Geo<sup>o</sup>. ან ერთგვარ ამოკითხვის შეცდომასთან გვაქვს საქმე, შესაძლოა დედანში მთავრულით ეწერა ეს სიტყვა და მთარგმნელმა საკუთარ სახელად გაიაზრა. სამწუხაროა რომ ეს ნაწილი ოშკის ბიბლიას აკლია და მხოლოდ იერუსალიმური ხელნაწერის ვარიანტზე გვიწევს მსჯელობა, თუმცა განსხვავებული იკითხვისი ნაკლებად მოსალოდნელია. სომეხი მთარგმნელი ისევე, როგორც გელათურის რედაქტორი შესაბამისი მნიშვნელობით თარგმნის. ამ ვარიანტის არსებობა ზაქარიას წინასწარმეტყველების ოშკური ტიპის ქართულ თარგმანში ბერძნული დედნის გარეშე რთული წარმოსადგენია.

## **b. ნასესხობები და საკუთარ სახელთა ფორმები**

ლექსიკური ნასესხობების გამოყენება ამა თუ იმ წყაროდან თარგმანის მომდინარეობის დასადგენად საფრთხილია. ზაქარიას წინასწარმეტყველების ქართული თარგმანის მკვლევარი იულიუს ასფალგი განსაკუთრებით უარყოფს ისეთ შემთხვევებს, როცა ნასესხობები სავარაუდო დედნის ტექსტში პარალელურ ადგილას არ იპოვება და საკუთარი სახელების გადმოტანისას მნიშვნელობას მხოლოდ იშვიათად ხმარებული საკუთარი სახელების ტრანსკრიბციას ანიჭებს.

ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა ზაქარიას წინასწარმეტყველების ქართულ თარგმანში მეთერთმეტე თვის ებრაული სახელის **Σάβια** საბატი **Արաց** (Zech. 1:7) ტრანსკრიბირება ბერძნულის მიხედვით. აღნიშნული სიტყვა ბიბლიაში გვხვდება მაკაბელთა წიგნში (1 Ma. 16:14), სადაც დასტურდება „სავათ“ ფორმა მსგავსი გელათური „სავატისა“. მაკაბელთა წიგნები ბაქარმა თარგმნა მე-17 საუკუნეში სლავურიდან, აქედან გამომდინარე არ გვაქვს საშუალება ვნახოთ სხვა შემთხვევაში როგორ გადმოდის ეს სახელი ძველ ქართულ თარგმანში. სომხური შესატყვისი **Արաց** (*The sixth month of Armenians*) ზაქარიას წიგნის გარდა არსად არ იპოვება სომხურ ბიბლიაში. სომეხი მთარგმნელი არ აკეთებს ტრანსკრიბციას. როგორც ჩანს იცის რა თვეა ებრაული სავატი და უფარდებს თავის ენაში არსებულ თვის სახელს. ქართველი მთარგმნელი რომ სომხური დედნიდან თარგმნიდეს სომხურის ტრანსკრიბციას გააკეთებდა, ან შესაძლოა ეთარგმნა კიდევ.

შემდეგია ანთროპონიმი Zech. 7:2 **Αρβεισεεφ]** **αββισαყε** V-538 (-σασεφ) არბესაგერ (არბოსარგირ J.); *abusad* (-sai P) Arm **Աբուսაჟ**. ჰაპაქსია სეპტუაგინტაში. ვხედავთ რომ სომხურ თარგმანში შეესატყვისება სრულიად სხვა ჟღერადობის სახელი.

ბერძნულის მიხედვითაა ტრანსკრიბირებული ქართულ თარგმანში ჭურჭლის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული **φάλη, ης, ἡ** (*bowl*) **ფიალი**, რომელიც ორჯერ არის ზაქარიას წინასწარმეტყველებაში Zech. 9:15,14:20. სომხური შესატყვისია **սაუჟ** (*basin Tub, trough, washtub, vat, mug.*). დასახელებული ბერძნულში მხოლოდ ამ ძეგლის კუთვნილება არაა, იგი მრავალჯერაა ნახმარი რიცხვთა წიგნშიც (იხ. მე-7 თავი მთლიანად). მას კარგად იცნობს ქართული ლიტერატურული ტრადიცია.

ბერძნულის მიხედვითაა ტრანსლიტერირებული ქართულ თარგმანში შესამოსლის სახელი **πιδήρις** პოდერის **Geo<sup>OJ</sup>** / პოდირი **Geo<sup>SB</sup>** **պճղխաւոր** (*toga*) (Zech. 3:4).

აქვე უნდა ვთქვათ იმის შესახებაც, რომ ზაქარიას წინასწარმეტყველების ომკური თარგმანის ტექსტში რამდენიმე სომხურის გზით შემოსული ნასესხობაა, რომელიც ალბათ იმ დროისთვის უკვე დამკვიდრებული იყო ენაში. ასეთია, მაგალითად, მღვდელმსახურის შესამოსლისა და ჭურჭლის ლექსიკა. Zech. 3:5 **ἐπίθετε κίβριον** დაჰბურეთ **ვარშამაგი** **Geo<sup>OJ</sup>** cf.

დაადგეს კიდარი Geo<sup>SB</sup> [ლქინ](#) [ქაიქ](#). [ქარჯამას](#) (*Amyss, linen, cloth, towel, winding sheet, shroud, amice*) სიტყვა სომხურ ბიბლიაში ოთხჯერაა ნახსენები და არცერთხელ თავსაბურავის მნიშვნელობით.

წყლის რეზერვუარის აღმნიშვნელი სიტყვა „ავაზანი“ ორჯერ არის ნახსენები ზაქარიას წინასწარმეტყველებაში (Zech. 14:20,21) Zech. 14:20 ἔσονται οἱ [λέβητες](#) οἱ ἐν τῷ οἴκῳ κυρίου და იყვნენ [ავაზანნი](#) (სიავნი Geo<sup>SB</sup>) სახლსა უფლისასა Geo<sup>OJ</sup> [ს](#) [ლქიցინ](#) [სას](#) [ქ](#) [სას](#) [სტაონ](#). აღნიშნული სიტყვა ქართულსა და სომხურ ბიბლიაში პარალელურადაც იხმარება 1 Ki. 10:21 [λουτῆρες](#) χριστοῦ [აისაყან](#) [ნუსიქ](#)` [ავაზანნი](#) იგი ოქროდსანი Geo<sup>O</sup>. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა სომხურშია [აისაყან](#), მაგრამ ქართულში არა. მაგ. Nah. 2:9 [კისუმῆθρα](#) ὄδατος [გვირუ](#) [აისაყან](#) [საზანელი](#) წყლისა Geo<sup>OJ</sup>.

იუდა/ჰურიასტანი ფორმები ქართულსა და სომხურში თავისუფლად მონაცვლეობენ. ეს ფორმები ენაში უკვე დამკვიდრებული უნდა იყოს და ვერ მივიჩნევთ არგუმენტად იმისათვის რომ ქართული თარგმანი სომხურიდან არის შესრულებული.

Zech. 8:23 [Ιουδαίου](#) [Ζηλῆ](#) [ჰურიადსა](#) Geo<sup>OJ</sup>, იუდეანისასა Geo<sup>SB</sup>

Zech. 12:2 [ἐν τῇ](#) [Ιουδαίᾳ](#) [ἡ](#) [Ζηλῆσαισταν](#) [ἡ](#) [ჰურიასტანსა](#) Geo<sup>OJ</sup>, იუდას შორის Geo<sup>SB</sup>

როგორც ჩანს მთარგმნელები ტოპონიმებს, თუ ეთნონიმებს ისე თარგმნიან, როგორც მათთვის ცნობილია. მაგ. Zech. 9:13 [τῶν](#) [Ἑλλήνων](#) [Μουσαῖ](#) იონთასა Geo<sup>OJ</sup>, ელლენთასა Geo<sup>SB</sup>. ოშკური ტიპის მთარგმნელისთვის ელინები ძველბერძნულ ტომთაგან ერთ-ერთი იონიელები არიან. სომეხი მთარგმნელისთვის კი ჰუნები-მომთაბარე ტომები, რომლებიც არც ქართველებისთვის არიან უცხონი. იაკობ ხუცესი შუშანიკის წამებაში წერს<sup>17</sup>, რომ იგი დაიბარა ვარსკენ პიტიახშმა და უთხრა "უწყია, ხუცეს, მე ბრძოლად წარვალ ჰონთა ზედა."

### c. შეცდომა?

<sup>17</sup> <http://titus.uni-frankfurt.de/texte/etcs/cauc/ageo/gh/gh1/gh1.htm?gh1007.htm>

Zech. 6:14 ὁ δὲ στέφανος ἔσται τοῖς ὑπομένουσιν [Եւ](#) [սպասկդ](#) [եղիցի](#) [այնոցիկ](#) [որ](#) [սկն](#) [ունին](#). (და გვირგვინი იყოს მათთვის, რომლებსაც თვალი აქვთ) ხოლო გვრგვინი იყოს მოთმინეთად Geo<sup>o</sup>

ამ კონტექსტში ბერძნული პოლისემანტური ზმნის ὑπομένω (*remain, stay*)-ს ქართული შესატყვისია *მოთმინე*, რაც მის ეტიმოლოგიურ თარგმანს წარმოადგენს. (იხ. ერთ-ერთი პუნქტი *ეტიმოლოგიური თარგმანები ქართულში μένω*). სომხურ თარგმანში კი არის *սկն* *ունին* *თვალი აქვთ*. საინტერესოა გავიგოთ ამ იდიომატური გამოთქმის მნიშვნელობა და ბერძნული შესატყვისი. კარგი შემთხვევაა მიქეას წიგნში **Mic. 7:7** ἐγὼ δὲ ἐπὶ τὸν κύριον ἐπιβλέψομαι ὑπομενῶ ἐπὶ τῷ θεῷ τῷ σωτήρι μου [Այլ](#) [ես](#) [Տեսուն](#) [սկն](#) [կապայց](#), [սպասեցից](#) [Աստուծոյ](#) [փրկչիս](#), ხოლო მე უფალსა ვესვიდე და დაუთმო ღმერთსა მაცხოვარსა ჩემსა Geo<sup>o</sup>. კონტექსტის მიხედვით **სკն (აყ)** **ունელ** **ἐπιβλέπω** (*look at*)-ს ეკვივალენტი გამოდის, რაც გადატანითი მნიშვნელობით ღმრთისადმი მზერას, მისადმი სასოებას ნიშნავს, ე.ი. ზაქარიას წინასწარმეტყველების 6:14-ში სომხური თარგმანის მიხედვით გვირგვინი ელის მსასოებელს. ხოლო ὑπομένω-ს სომხური შესატყვისი **სպასსელ** (*wait*)-ია. ახლა ვნახოთ, როგორ გადმოდის იგი სხვა წინასწარმეტყველთა წიგნების სომხურ და ქართულ თარგმანში. **სպასსელ** (*wait*) **Mic. 7:7** ὑπομενῶ ἐπὶ τῷ θεῷ [სպასեցից](#) [Աստուծոյ](#) დაუთმო ღმერთსა Geo<sup>o</sup> **Nah. 1:7** χρηστὸς κύριος τοῖς ὑπομένουσιν [Քաղցր](#) [է](#) [Տէր](#).<sup>[8]</sup> [որոց](#) [սպասեն](#) [նա](#) [Տკბիլ](#) არს უფალი მოთმინეთათვს Geo<sup>o</sup> **Zeph. 3:8** διὰ τοῦτο ὑπόμεῖνός με [Վասն](#) [այդորիկ](#) [սպասեսա](#) [ինձ](#), ამისთვის დამითმეთ მე Geo<sup>o</sup>. **հააქსელ** (*patience*)

**Hab. 2:3** ἔὰν ὑσπερήσῃ ὑπόμεῖνον αὐτόν [էթ](#) [ანაզանեսელ](#), [հააქსელ](#) [ნა](#). უკუეთუ დააკლოს, დაუთმე მას, Geo<sup>o</sup> **ძიძკასელ** (*abstain*) **Mal. 3:2** καὶ τίς ὑπομενεῖ ἡμέραν εἰσόδου αὐτοῦ [Եւ](#) [ն](#) [վ](#) [ძიძკასესელ](#) [աւուր](#) და ვინ-მე დაუთმოს დღესა მას Geo<sup>o</sup>. ქართული შესატყვისებია *დათმობა* (*მოთმენა, ატანა, გაძლება, დაცდა, წინააღდგომა ილ.აბულაძე*) *მოთმენა* (*დათმენა ილ.აბულაძე*). აქედან გამომდინარე შესაძლოა ორი რამ დავუშვათ, ზაქარიას წინასწარმეტყველების სომეხი მთარგმნელი ან თავისუფალად თარგმანის, ან აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია რედაქტორ/გადამწერის მიერ პარალელური ადგილის გავლენით

(Mic. 7:7). ყოველ შემთხვევაში, სომხური ტექსტის ის ფორმა, რომელიც დღეს ჩვენ ხელთ გვაქვს ასეთ სურათს აჩვენებს.

#### d. ბერძნული კომპოზიტების კალკები ქართულ თარგმანში

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია<sup>18</sup>, რომ ფილოლოგიური თვალსაზრისით კალკებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბიბლიურ წიგნთა ქართული რედაქციების წარმომავლობის დასადგენად, რადგან თარგმანის კალკებში კარგად ჩანს დედნის უშუალო ენობრივი გავლენა. მოვიტანთ ლექსიკური კალკების მაგალითებს. Zech. 3:8 **τερατοσκόπος**, -ου, ὁ (*diviner*) **ნიშის მსტოვარი (მსტუარი J)** **κἰχουαῖμας** (*Goetic, black magician.*)

Zech. 3:8 **διότι ἄνδρες τερατοσκόποι εἰσὶ κἰχουαῖμας** **ნს** რამეთუ კაცნი ნიშის მსტოვარნი(მსტუარი J) (ნიშთ-მჭურეტელნიGeo<sup>SB</sup>) არიან Geo<sup>OJ</sup>

როგორც ჩანს ქართველმა მთარგმნელმა არ იცის ამ ბერძნული სიტყვის მნიშვნელობა, ან ენაში არ მოიძებნება მისი შესატყვისი და შლის სეგმენტებად და ცალ-ცალკე თარგმნის კომპოზიტის შემადგენელ ნაწილებს. **σκοπός**, **იმ**, ὁ მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების ქართველი მთარგმნელები თარგმნიან „მსტოვარი/მსტუარი-ეზგური“ ისევე როგორც სომეხი მთარგმნელები **դէս** (*observer*). **τέρας**, **ατος**, **τό** ორივე ენაზე ითარგმნება, როგორც **ნიშანი** **სჟან** (*sign*), მაგრამ სომეხი მთარგმნელი კალკს არ აკეთებს, იგი მის ენაში უკვე არსებულ, მკითხავის აღმნიშვნელ სიტყვას უფარდებს, რომელიც ერთადერთხელ დასტურდება სომხურ ბიბლიაში.

Hos. 9:8 **σκοπός** **Εφραῖμ** მსტოვარი ეფრემ Geo<sup>OJ</sup> მსტუარი - ეფრემ Geo<sup>SB</sup> **դէս** **სჟჟან**

Hos. 9:10 **ἀς σκοπὸν ἐν** **σικῆν** ვითარცა მსტოვარი ლელუსა Geo<sup>OJ</sup> ვითარცა მსტუარი ლელუსა Geo<sup>SB</sup> **კჟჟანს** **ჰ** **ქანსო**

<sup>18</sup> ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან : ტომი 1 / კორნელი დანელია ; რედაქტორი: ზ.ჭუმბურიძე. თბილისი : თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა , 1998. გვ. 59

Nah. 3:12 σκοποὺς ἔχουσαι სტოვარ ჰქონდენ Geo<sup>OJ</sup> ებგურთა მქონებელნი Geo<sup>SB</sup> [գդիտակ թգու](#)

Joel 3:3 καὶ δάσω τέρατα და ვსცე ნიშებ ცათა შინა Geo<sup>OJ</sup> [Եւ տաց նշանս յերկինս](#)

ძველ აღთქმაში ეს სიტყვა მეორედ რვაწიგნეულში შეგვიძლია ვნახოთ Deut. 18:11, აქ ჩამოთვლილია მკითხავთა სხვადასხვა სახელები. Deut. 18:11 τερατοσκόπος ἐπερωτῶν τοὺς νεκροὺς სასწაულით მკუდართა მკითხველი Geo<sup>BDES</sup> cf. ნიშთმზმნელი, მკითხავი მკუდართა. Geo<sup>G</sup> [სჯანსაღეს լինիցի առ ի գմեռեսսս հարցանելոյ](#):

შემდეგ შემთხვევაშიც კალკირების გზას ირჩევს ქართველი მთარგმნელი, ხოლო სომეხი მთარგმნელი თარგმნის სემანტიკურად. Zech. 10:2 ἀποφθεγγόμενος (to make pronouncement; ἀπό out of ; φθέγγομαι speak, utter, proclaim) გამომეტყუელი Geo<sup>OJ</sup> cf. აღმომგმობელი Geo<sup>SB</sup> [հարցուկ \(Diviner, augur, soothsayer, conjurer.\)](#)

Zech. 10:2 διότι οἱ ἀποφθεγγόμενοι ἐλάλησαν κόπους καὶ οἱ μάντιες ὀράσεις ψευδεῖς

[Զի հարցուկք բարբառեսսն աշխատութիւնս](#)`, [Եւ ըղձապատուութ տեսիլս սուսս](#) რამეთუ [գამომეტყუელნი იგი იტყოდეს შრომას, და მისანნი ხილვასა ტყუვილისასა](#) Geo<sup>OJ</sup>

კონტექსტი ძალიან ბუნდოვანია. ქართულ თარგმანში წინადადების მეორე ნაწილით შეიძლება მიხვედრა რომ პირველ ნაწილშიც მკითხავზეა საუბარი. ქართველი მთარგმნელი სიტყვასიტყვით თარგმნის, ხოლო სომეხი მთარგმნელი ცდილობს გაამარტივოს კონტექსტის გაგება და თარგმნის შედარებით თავისუფლად. *λαλέω* (1. to speak 2. tr. to utter, + acc 3. to talk about as sth important: + acc, κόπους... τὰ ἐνύπνια ψευδῆ Zc 10.2, 4. to declare one's intention to do sth: 5. to mention verbally: + acc, 6. to negotiate orally) ზმნა ზაქარიას წინასწარმეტყველებაში ოცჯერ არის ნახმარი, სხვადასხვა კონტექსტში. ცხრამეტჯერ მას სომხურში შესატყვისება ἵσους (To speak, to talk; to discourse, to converse; to confer, to treat, to negotiate.), ხოლო ამ ერთ შემთხვევაში բարբառել (To speak, to cry, to resound), რომლის ბერძნული შესატყვისების ძიება შორს წაგვიყვანს და ავცდებთ კიდევ მთავარს, მაგრამ ამოსის წიგნში բარբაռელ ზმნის შესატყვისია ბერძნული φθέγγομαι (speak, utter, proclaim).

Amos 1:2 κύριος ἐκ Σιων ἐφθέγγατο [Տէր ի Սիօնէ բարբառեցաւ](#) უფალი სიონით იტყოდა Geo<sup>of</sup> cf. უფალმან სიონით ჳმა-ყო Geo<sup>GSB</sup>. ვფიქრობ, ეკვივალენტის შეცვლით სომეხი მთარგმნელი ცდილობს შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად ასახოს დედანი თარგმანში.

მსგავსი კონტექსტია **Mic. 5:11** καὶ ἀποφθεγγόμενοι οὐκ ἔσονται ἐν σοί **გამომეტყუელნი** (აღმომჳმოებელნი Geo<sup>SB</sup>) არა იყვნენ შენდა. Geo<sup>of</sup> [հարցուկք ոչ եղիցինք քեզ](#), სადაც ქართველი მთარგმნელი ისევ იმავე კალკს აკეთებს, სომეხი კი იმავე ეკვივალენტით თარგმნის.

### e. პრევერბები

ძველი ქართული ენა განსაკუთრებით მდიდარია მიმართულებითი და ადგილობითი ზმნისწინებით. პრევერბების მძლავრი სისტემაა ძველსა და საშუალო ბერძნულში, სადაც მოქმედების მიმართულებისა და ადგილის ზუსტად გამოსახატავად ერთმანეთს თავისუფლად ენაცვლებიან ზმნიზედური წარმოშობის წინდებულები და ზმნისწინები. სომხურ ენას კი ზმნისწინთა წარმოება არ ახასიათებს, თუმცა სომხურ ელინოფილურ თარგმანებში შენიშნავენ მათ არსებობას.<sup>19</sup> ზაქარიას წინასწარმეტყველების სომხურ თარგმანში არცერთი ზმნისწინიანი ფორმა შეგვხვდებოდა. თარგმანის დედნის დასადგენად მნიშვნელოვან კრიტერიუმად უნდა მივიჩნიოთ რთული ბერძნული ზმნისწინების გადმოტანა ქართულში. მოვიტანთ მაგალითებს. **Zech. 6:7** ἐπέβλεπον τοῦ περιόδῃσας **მიმოიმსტოვრობდეს მიმოსლვად** [հայէին շրջել](#)

ამ კონტექსტის ქართულ თარგმანში ბერძნული ἐπί ზმნისწინი უჩვეულო მიმო შესატყვისით დასტურდება. როგორც წესი ძველ ქართულ თარგმანებში იგი შემდეგი მნიშვნელობებით გადმოდის ἐπί cum. gen.: ზედა; თანა;-თჳს; მიმართ; მიერ; შორის: cum. dat.: ზედა; თანა; შემდგომად; cum. acc.: ზედა; თანა; მიმართ; მომართ; ძლით; შორის;

<sup>19</sup> ob. Gohar Muradyan, Grecisms in Ancient Armenian (Hebrew University Armenian Studies 13), 2012,

წინაშე; გარე. (ლ. კვირიკა.<sup>20</sup>). რაც შეეხება *ἐπιβλέπω* (*to look or watch attentively: caringly, with affection or interest*) ზმნის მნიშვნელობას, ნიშნავს დაჟინებულ მზერას, ძირითადი არის *βλέπω* (*see, look (at)*) ვხედავ. მსტოვარი საბას განმარტებით არის *აეშავი მომხილავი ქვეყანისა, გინა მტერთა ლაშქართა და ეგევითართა უცნაურად*. გადავავლოთ თვალი კონტექსტებს ზაქარიას წინასწარმეტყველებაში სხვაგან როგორ არის თარგმნილი აღნიშნული სიტყვა სომხურსა და ქართულ თარგმანში.

Zech. 4:10 οἱ ἐπιβλέποντες ἐπὶ πᾶσαν τὴν γῆν nr hային`` րնդ ամենայն երկիր: რომელიც **ჰხედვენ** ყოველსა ქუეყანასა. Geo<sup>OJ</sup>, ზედა-დამხედველნი ყოველისა ქუჭყანისანი. Geo<sup>SB</sup>

Zech. 10:4 καὶ ἐξ αὐτοῦ ἐπέβλεψεν ել ի նմանէ դիտեսց, მისგან **მოიხილა** Geo<sup>OJ</sup>, და მისგან **ზედ-მოიხილა** Geo<sup>SB</sup>

Zech. 12:10 ἐπιβλέψονται πρὸς με ել հայեսցին առ իս და **მოიხილონ** ჩემდა, Geo<sup>OJ</sup>, **მოიხილონ** ჩემდამო Geo<sup>SB</sup>

περιβλέπω სომხური შესატყვისებია: **հայել** (*look*); **դիտել** (*observe*). ქართული **ხედვა**; **მოხილვა**.

საანალიზო კონტექსტის მიხედვით **მიმო** ზმნისწინი შესატყვისება ბერძნულ **περί**-ს. ვფიქრობთ, **περιοδεύω** (*to go all round*)-ს გავლენით მთარგმნელმა **ἐπὶ** პრევერბი შეცვალა **περί**- თ და თარგმნა **περιβλέπω** (*to look round inquisitively*), რომლის შესატყვისი ზირაქის სიბრძნის ომკურ თარგმანში არის „**მიმოდახედვა**“ **Sir. 9:7** **μη περιβλέπου ἐν ῥύμαις** ნუ **მიმოდახედავ** უბნებსა მას Geo<sup>O</sup>. ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით უსვამს ხაზს მთარგმნელის ინდივიდუალობას. ეჭვგარეშეა, რომ ამას ბერძნული ენის გავლენით

<sup>20</sup> ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი, სიმონ ყაუხჩიშვილის საერთო რედაქტორობით, პასუხისმგებელი რედაქტორი ლიანა კვირიკაშვილი, თბილისი 2002

ახერხებს, აიძულებს საკუთარ ენას დაძაბოს შინაგანი შესაძლებლობა და მაქსიმალურად მიზამოს სათარგმნ ენას. περιβλέπω

Zech. 6:7 καὶ οἱ ψαροὶ ἔξεπορεύοντο καὶ ἐπέβλεπον τοῦ πορεύεσθαι τοῦ περιδεῦσαι τὴν γῆν καὶ εἶπεν πορεύεσθε καὶ περιδεῦσατε τὴν γῆν καὶ περιώδυσαν τὴν γῆν **և պիսակքն էլանէին հայէին շրջել ընդ ամենայն`` երկիր. և ասէ. Գնացէք և շրջեցարուք ընդ երկիր: Եւ շրջեցան ընդ երկիր:** და ხსედნი იგი **განვიდოდეს** (გამოვიდოდეს J.) და (> J.) **მიმოიმსტოვრობდეს** (მიმოიმსტრობდეს J.) **მიმოსლვად** ქუეყანისა; და ჰრქუა (+მათ O): **მოვლეთ** ქუეყანაჲ! და **მოვლეს** ქუეყანაჲ (და-ქუეყანაჲ > O.). Geo<sup>OJ</sup>

Zech. 1:10 τοῦ περιδεῦσαι τὴν γῆν **շրջել ընդ երկիր:** მიმოსლვად ქუეყანისა. Geo<sup>OJ</sup>, გარემოვლად ქუეყანისა. Geo<sup>SB</sup>

